საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004228

„30" დეკემბერი 20 25 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I ჩ. N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: სს „ჯორჯია ითი ფაჯი სანაიი ვე თიჯარეთ-ის ფილიალი
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

საქართველოში" (ს/ნ 404903707); [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგი[redacted]

[redacted] მინისტრის 2020 წლის

7 აგვისტოს N 2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N004228

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004228 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 8 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის, 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის,

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

58-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53^2 მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 და მე-7 ნაწილების, 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 46-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ასკ-ს 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible] მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნანა კორკოტაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კორკოტაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იზაბელა [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 30 დეკემბრის №004228 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

2024 წლის 30 ოქტომბერს, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში განთავსებული, სს ,,ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში"-ს (ს/კ 404903707) კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო) და მობილური ტიპის ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. მინისტრის **2020 წლის 7 აგვისტოს №2-698** ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტის** შესაბამისად კომპანია არ ახორციელებდა საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის და დასკვნების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. **გზშ ანგარიშის შესაბამისად** საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია 100 002 მ² მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.71.014) ნაწილზე. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორიის ფართობი შეადგენს 107 129 მ²-ს, რომლიდანაც ნაწილი წარმოადგენს რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, ხოლო ნაწილი დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთს. ინსპექტირებით ასევე დადგინდა რომ კომპანიის მიერ არ განხორციელებულა მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება;

1.2. **გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების** შესაბამისად კომპანია არ ახორციელებს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, საწარმოს ტერიტორიაზე განხორციელებული ინსპექტირებით არ დაფიქსირდა ნარჩენების შეგროვების მიზნით შესაბამისად მარკირებული კონტეინერები. ასევე დადგინდა, რომ ტერიტორიაზე უსისტემოდ დაყრილი იყო როგორც მუნიციპალური და სამშენებლო, ასევე სახიფათო ნარჩენები;

1.3. **გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების** შესაბამისად არ ხდება საწარმოო ჩამდინარე და სამეურნეო ფეკალური წყლების მართვა. ინსპექტირების პროცესში საწარმოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა სამეურნეო-ფეკალური წყლების შემკრები რეზერვუარის და სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს სალექარის ექსპლუატაციის წესების დარღვევის ფაქტი. კერძოდ, ფეკალური წყლების შემკრები მიწისქვეშა რეზერვუარიდან ხდებოდა ფეკალური წყლების გადმოდინება და ტერიტორიაზე გავრცელება. ასევე, სამსხვრევ დამახარისხებელი საამქროს სალექარი იყო შევსებული შლამით და ხოლო შლამის ნაწილი ჩაყრილი იყო მიმდებარედ გამავალ უსახელო ღელეში;

2. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტის** შესაბამისად, არ აქვს შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;

3. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-5 პუნქტის** შესაბამისად კომპანიამ არ უზრუნველყო „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით გათვალისწინებული რეკულტივაციის გეგმის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება;

4. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად კომპანია 3 თვეში ერთხელ არ ახორციელებს მონიტორინგს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე, ასევე, 3 თვეში ერთხელ, უახლოეს მოსახლესთან, ინსტრუმენტული მეთოდით არ ახორციელებს ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგს;

5. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. ამასთან, არ უზრუნველყო ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების და ხმაურის შემცირების მიზნით დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება;

6. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ არ განახორციელა საწარმოს ტერიტორიის საზღვართან მარადმწვანე ხე-მცენარეების დარგვა;

7. მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-10 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ არ აცნობა სამინისტროს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

8. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში განხორციელებულია **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება,** ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ:

   8.1. გზშ ანგარიშის შესაბამისად საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია 100 002მ² მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით საწარმოს

განთავსების ტერიტორია შეადგენს 107 129 m^2-ს (აქედან: 3 501 m^2 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების** მიწის ნაკვეთი, 29 466 m^2 დაურეგისტრირებელი და 28 079 m^2 **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებაში** არსებულ მიწის ნაკვეთი);

8.2. გზშ ანგარიშის შესაბამისად, სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროსთან მოწყობილ სალექარში გაწმენდილი წყალი, ტუმბოს საშუალებით, უნდა დაბრუნდეს ტექნოლოგიურ ციკლში (ინერტული მასალების მსხვრევა-დახარისხების პროცესში), შესაბამისად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვება არ არის გათვალისწინებული. თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ სალექარიდან წყალი არ ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში, არ არის დანერგილი წყლის ბრუნვითი მომარაგების სისტემა და სალექარის გავლის შემდეგ წყალი ჩაედინება მიმდებარედ არსებულ უსახელო ღელეში;

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება და საქმიანობის განხორციელება შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, **წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (იმ პერიოდისთვის მოქმედი რედაქცია);**

9. ინსპექტირებით გამოვლინდა **სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვესა მტკნარი წყალი) უკანონო სარგებლობის ფაქტი.** კერძოდ, კომპანია საწარმოს ტერიტორიაზე, 3 ლოკაციაზე (GPS კოორდინატები: 1. X-731357 Y-4646071; 2. X-731541 Y-4645888; 3. X-731603 Y-4645915) მოწყობილი ჭაბურღილიდან, ტუმბოს მეშვეობით ახორციელებდა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას, სათანადო ლიცენზიის გარეშე, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლის გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;**

წიაღის უკანონო სარგებლობის ფაქტზე გამოანგარიშდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რამაც შეადგინა 1112,5 ლარი.

10. ინსპექტირებით გამოვლინდა **ნარჩენების მართვის კოდექსით** დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:

10.1. არასახიფათო ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი - 1m^3-მდე მოცულობის მუნიციპალური, 3m^3-მდე მოცულობის სამშენებლო და 3 ერთეული საბურავით გარემოს დანაგვიანების ფაქტი, **რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლით მე-4 და მე-7 ნაწილით, ასევე 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;**

10.2. სახიფათო ნარჩენებით (ფისის შემცველი ნარჩენები, კოდი 05.01.08*, გამოცვლილი ავტომობილის საწვავის ფილტრი, ნავთობპროდუქტით დაბინძურებული მეტალის კასრი) გარემოს დაბინძურების ფაქტი, **რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

11. ინსპექტირებით გამოვლინდა ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების ფაქტი. კერძოდ, სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს სალექარის მიმდებარედ არსებულ უსახელო ღელეში ჩაყრილი იყო ინერტული ნარჩენი, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევას;**

12. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ფაქტობრივი განთავსების ტერიტორია შეადგენს 107 129 მ²-ს და გამოვლინდა, რომ კომპანიამ არ განახორციელა მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება, რაც წარმოადგენს **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.** ამასთან, მიწის დეგრადაციის ფაქტზე გამოანგარიშდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რამაც შეადგინა 25 366,13 ლარი;

13. ინსპექტირებით გამოვლინდა **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების** (სახელმწიფო საკუთრება, ფიზიკური პირის საკუთრება) **არამიზნობრივი გამოყენების ფაქტი**.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გატარდა შემდეგი რეაგირება:

- 2025 წლის 21 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლის და 53² მუხლის შესაბამისად, სს „ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 090805 ოქმი;
- 2025 წლის 20 თებერვალს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 57¹ მუხლის, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 და მე-7 ნაწილების, 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სს „ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 090801 ოქმი.

აღნიშნული ოქმები თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, № 090801 ოქმის განხილვის შედეგად გამოტანილი 2025 წლის 27 მარტის №4/26-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით, 52-ე მუხლით, 57¹ მუხლით, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლით მე-4 და მე-7 ნაწილებით, 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 30 დეკემბრის №004228 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

ამავე დადგენილებით კომპანიას დაეკისრა სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის უკანონო მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის - 1112.5 ლარის და ნიადაგის დეგრადაციის ფაქტზე გარემოსთვის მიყენებული ზიანის - 25366.13 ლარის ანაზღაურების ვალდებულება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ასევე, № 090805 ოქმის განხილვის შედეგად, სასამართლომ კომპანია სცნო სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე და 53² მუხლებით და დააკისრა ჯარიმა - 750 ლარის ოდენობით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 30 დეკემბრის №004228 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 30 დეკემბრის №004228 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

სს ,,ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში"-ს (ს/კ 404903707) სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო) და მობილური ტიპის ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **სს „ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია**:

1. საქმიანობა განხორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნების შესაბამისად (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი)**. მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, საწარმოში შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის ჰერმეტულსახურავიანი კონტეინერების განთავსება;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ტერიტორიის ნარჩენებისგან (მუნიციპალური და სამშენებლო) გასუფთავება. ასევე, **ამავე ვადაში უზრუნველყოს** სახიფათო ნარჩენებისგან (ფისის შემცველი ნარჩენები კოდი 05.01.08*, გამოცვლილი ავტომობილის საწვავის ფილტრი, ნავთობპროდუქტით დაბინძურებული მეტალის კასრი) ტერიტორიის გაწმენდა/დასუფთავება, ხოლო მათი მართვა განახორციელოს, ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შესაბამისად;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს სალექარის და მის მიმდებარედ გამავალი უსახელო ღელეს გაწმენდა ჩაყრილი შლამისგან, ხოლო მისი მართვა განახორციელოს, ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შესაბამისად;

1.4. საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი და სამეურნეო ფეკალური წყლების მართვა **მუდმივად** განახორციელოს გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად, რისთვისაც **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ** აღკვეთოს და შემდგომ არ დაუშვას ფეკალური წყლების შემკრები მიწისქვეშა რეზერვუარიდან ფეკალური წყლების გადმოდინება, ტერიტორიაზე გავრცელება ან/და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება;

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის აღდგენა/მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად და საქმიანობა განახორციელოს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გამოყენებით;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, შემდგომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტი);**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით გათვალისწინებული რეკულტივაციის გეგმის შემუშავება და სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-5 პუნქტი);**

4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით, 3 თვეში ერთხელ,** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგი, ასევე ამავე პერიოდულობით (3 თვეში ერთხელ) უახლოეს მოსახლესთან განახორციელოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი ინსტრუმენტული მეთოდით, ხოლო შედეგები **6 თვეში ერთხელ** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში, შესაბამისი დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დასახვა/განხორციელების მიზნით (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტი);**

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარმოდგენა (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

6. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების და ხმაურის შემცირების მიზნით, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

7. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით,** უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის საზღვართან მარადმწვანე ხე-მცენარეების დარგვა (მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №2-698 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტი);**

8. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე განხორციელებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-8 პუნქტი)**, სს ,,ფოლათ იოლ იაფ სანაია ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველოში" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით;

9. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ

   - კომპანია საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული **სავალდებულო დოკუმენტის (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის)** გარეშე ახორციელებდა **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-8 და მე-9 პუნქტები)**;
   - საწარმოს ფაქტობრივი განთავსების ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე** და ხორციელდება მიწის ნაკვეთების არამიზნობრივი გამოყენება **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-13 პუნქტი)**

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება ზემოთაღნიშნული გარემოებების სრულ აღმოფხვრამდე.**